

DECONSTRUCTION OF THE SYMBOL - GIVI MARGVELASHVILI'S "SAVE THE EAGLE!"

სიმბოლოს დეკონსტრუქცია - გივი მარგველაშვილის „იხსენით არწივი!“

Guranda Gobiani

Doctor of Philological Sciences,
Associate Professor of Kutaisi University,
Kutaisi, Tsereteli st. #13, 4600, Georgia,
+995599075460, gobianiguranda78@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0002-4782-2808>

Abstract. The aesthetic function and purpose of the so-called postmodernist “artistic games” is to search for forms of relationship with already existing written texts. Deconstruction is an approach to understanding the relationship between text and meaning that opposes rationalism. A kind of “stimulating unrecognizability” and “controlled chaos” are characteristic of it. This concept offers us such principles that destroy traditions, stereotypes, at the same time, exposing and revealing their base, the pre-text, which is restored and proposed in the phenotext based on the imagination, commenting, evaluation and interpretation of the pre-text, taking into account the socio-cultural environment.

Deconstructivism, as a postmodernist trend, is inspired by the idea of abandoning aesthetics and fundamental principles. It allows the author to recreate a completely different version of the finished “product” of the past, rooted in traditions, and to offer the restored-updated text to the potential audience, the reader. The world around us is a text that needs not the order, but a new interpretation, reviewing and rewriting - this is the philosophical ideology of deconstructivism.

Deconstruction is the privilege of a free, daring, rebellious person, who is ready to throw away, shatter oppressive stereotypes and frames, fragment “written texts” and give each detail a new meaning, a new life. Givi Margvelashvili, a German-speaking Georgian writer, a worthy representative of European postmodernism, whose life and creativity are completely built on contradictions and cataclysms, appears as such a writer-interpreter. In his work, as well as in postmodernism in general, the leading role belongs to the principle of dialogue. In postmodernist discourse, the recipient is the most important. The author has a constant, active dialogue with the reader. The action is not always dynamic, but chaotic, unplanned, based on the principle of framing. This time, in his ontoworld world, the animals-symbols are seeking for help, who are tormenting “due to” those faults, that “symbolized” people make because of their carelessness and irresponsibility. Margvelashvili turns the significance of the symbol upside down and considers it the most terrible form of animal torture. The author does not/cannot change anything in the classical symbolic world of animals/text, however, he rejects the basic, fundamental principles that underlie symbolism as a formalistic direction and tries to free it, separate the text/symbol from the traditional form and save it from “attachment”.

The target of help for the “active member of the symbol-animals’ society” this time is “the eagle depicted on the head of the swastika”. The writer, by the principle of open space, again calls on the imagination of the reader and takes him to the vanguard scene through specific instructions. The reader, the same character, the same “hero of the book” (the author) imagines wearing a heavy leather glove on his right hand, raises his hand up (Nazi salute gesture - "Heil Hitler!" "Long live Hitler") and turns his eyes to the eagle depicted on the swastika. Here the

writer-interpreter already gets involved and offers us an absolutely changed, deconstructed picture. This is exactly a kind of rebellion against the “suffering” and “punishment” that, as the writer points out, the “animals – symbols” experience in the “captivity” of multiple meanings, polysemantism, and whose goal, ultimately, is the conscious creation of conflictual opposition that will awaken the surrounding space and transform the social background as it is Margvelashvili's decision on finding ways to form relationships with already existing written texts.

Keywords: Postmodernist discourse, Deconstruction; Pretext, Phenotext, Animals symbols, Open text.

გურანდა გობიანი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ქ. ქუთაისი, წერეთლის ქ. #13, 4600, საქართველო,
+995599075460, gobianiguranda78@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0002-4782-2808>

აბსტრაქტი. პოსტმოდერნისტული ე.წ. „მატერული თამაშების“ ესთეტიკური ფუნქცია და მიზანი უკვე არსებულ, დაწერილ ტექსტებთან ურთიერთობის გამონახვის ფორმების ძიებაა. დეკონსტრუქცია არის ერთგვარი მიდგომა ტექსტისა და მნიშვნელობის ურთიერთმიმართების გასაგებად, რომელიც უპირისპირედება რაციონალიზმს. მისთვის დამახასიათებელია ერთგვარი „მასტიმულირებელი ამოუცნობლობა“ და „კონტროლირებადი ქაოსი“. ეს კონცეფცია გვთავაზობს ისეთ პრინციპებს, რომლებიც ანგრევენ ტრადიციებს, სტერეოტიპებს, იმავდროულად, აშიშვლებენ, აშკარავებენ მათ ფუძეს, წინარეტექსტს, რომლის აღდგენა და შეთავაზება ფენოტექსტში ხდება უკვე წარმოსახვის, წინარეტექსტის კომენტირების, შეფასების და ინტერპრეტაციის საფუძველზე, სოციოკულტურული გარემოს გათვალისწინებით.

დეკონსტრუქცივიზმი, როგორც პოსტმოდერნისტული მიმდინარეობა, შთაგონებულია ესთეტიკისა და ფუნდამენტალური პრინციპების მიტოვების იდეით. ის საშუალებას აძლევს ავტორს ხელახლა შექმნას წარსულის, ფესვგადგმული ტრადიციების მქონე მზა „პროდუქტის“ სრულიად განსხვავებული ვერსია და აღდგენილ-განახლებული ტექსტი შესთავაზოს პოტენციურ აუდიტორიას, მკითხველს. სამყარო ჩვენს გარშემო არის ტექსტი, რომელიც საჭიროებს არა წესრიგს, არამედ ახალ ინტერპრეტაციას, ხელახლა გადახედვა-გადაწერას. ასეთია დეკონსტრუქცივიზმის ფილოსოფიური იდეოლოგია.

დეკონსტრუქცია თავისუფალი, გაბედული, მემამბოხე ადამიანის პრივილეგიაა, რომელიც მზად არის გადააგდოს, დაამსხვრიოს დამთრგუნველი სტერეოტიპები და ჩარჩოები, დაანაწევროს „დაწერილი ტექსტები“ და თითოეულ დეტალს ახალი მნიშვნელობა, ახალი სიცოცხლე შესძინოს. სწორედ ასეთ მწერალ-ინტერპრეტატორად გვევლინება გერმანულენოვანი ქართველი მწერალი, ევროპული პოსტმოდერნიზმის ღირსეული წარმომადგენელი, გივი მარგველაშვილი, რომლის ცხოვრება და შემოქმედება მთლიანად აგებულია წინააღმდეგობებსა და კატაკლიზმებზე. მის შემოქმედებაში, ისევე როგორც, ზოგადად, პოსტმოდერნისტულ მიმდინარეობაში, წამყვანი როლი დიალოგის პრინციპს ეკუთვნის. პოსტმოდერნისტული დისკურსში უმთავრესი სწორედ რეციპიენტია. ავტორს მუდმივი, აქტიური დიალოგ აქვს მკითხველთან. მოქმედება ყოველთვის არა დინამიურად, არამედ ქოტურად, დაუგეგმავად, კადრირების პრინციპით მიმდინარეობს. ამჯერად მის ონტოსამყაროს უბანში შველას სიბოლოთა ცხოველები ითხოვენ, რომლებიც იმ დანაშაულებათა „წყალობით“ ეწამებიან, რომლებსაც

„გასიმბოლოებული“ ადამიანები ჩადიან თავიანთი დაუფიქრებლობით და უპასუხისმგებლობით. მარგველაშვილი თავდაყირა აყენებს სიმბოლოს მნიშვნელობას და ცხოველთა წამების ყველაზე საშინელ ფორმად მიიჩნევს მას. ავტორი არაფერს/ვერაფერს ცვლის ცხოველთა კლასიკურ სიმბოლურ სამყაროში/ტექსტში, თუმცა უარყოფს იმ ძირეულ, ფუნდამენტურ პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად უდევს სიმბოლიზმს, როგორც ფორმალისტურ მიმდინარეობას და ცდილობს გაათავისუფლოს, გამოაცალოს ტექსტს/სიმბოლოს ტრადიციული სახე და იხსნას „მიჯაჭვულობისაგან“.

დახმარების სამიზნე „სიმბოლო-ცხოველთა საზოგადოების აქტიური წევრისთვის“, ამჯერად, „სვასტიკის თავზე გამოსახული არწივია“. მწერალი, ღია სივრცის პრინციპით, ისევ მოუხმოს მკითხველის წარმოსახვას და კონკრეტული მითითებების საშუალებით შეჰყავს ავანსცენაზე. მკითხველი, იგივე პერსონაჟი, იგივე „წიგნის გმირი“ (ავტორი) ტყავის მძიმე ხელთათმანს წარმოსახვით იცვამს მარჯვენა ხელზე, ხელს მაღლა სწევს (ნაცისტური მისალმების ჟესტი - „Heil Hitler!“ „გაუმარჯოს ჰიტლერს“) და თვალს სვასტიკაზე გამოსახულ არწივს მიაპყრობს. აქ უკვე ერთვება მწერალი-ინტერპრეტატორი და აბსოლუტრად შეცვლილ, დეკონსტრუირებულ სურათს გვთავაზობს. ეს არის სწორედ ერთგვარი აჯანყება იმ „ტანჯვისა“ და „სასჯელის“ წინააღმდეგ, რომელსაც, როგორც მწერალი აღნიშნავს, განიცდიან „სიმბოლოთა ცხოველები“ მრავალმნიშვნელოვნების, პოლისემანტიზმის „ტყვეობაში“ და რომლის მიზანია, საბოლოო ჯამში, კონფლიქტური წინააღმდეგობის შეგნებული შექმნით, გარემომცველი სივრცის გამოღვიძება და სოციალური სტრუქტურის გარდაქმნა, როგორც, უკვე არსებულთან, დაწერილ ტექსტებთან ურთიერთობის გამონახვის მარგველაშვილისეული მიგნება.

საკვანძო სიტყვები: პოსტმოდერნისტული დისკურსი; დეკონსტრუქცია; წინარეტექსტი; ფენოტექსტი; სიმბოლოთა ცხოველები; ღია ტექსტი.

შესავალი. პოსტმოდერნისტული ნარატივის სპეციფიკა ესთეტიკური სისტემების მთლიანობის, სიმწყობრის, ყველა კანონისა და ნორმის, ტაბუსა და საზღვრების გამიზნულ რღვევას, ეროვნული, რელიგიური, ტრადიციული, მითოსურ-სიმბოლური პირობითობის მიმართ უარყოფით და ირონიულ დამოკიდებულებას, მორალთან დაკავშირებით მარგინალობის გამოვლენას გულისხმობს, რაც ლიტერატურადმცოდნეობაში იკვეთება, როგორც „დეკანონიზაცია“, „კარნავალიზაცია“, „დეკონსტრუქცია“, „ინტერტექსტუალობა“, „პასტიში“... ამ ე. წ. „მხატვრული თამაშების“ ესთეტიკური ფუნქცია და მიზანი უკვე არსებულ, დაწერილ ტექსტებთან ურთიერთობის გამონახვის ფორმების ძიებაა.

დეკონსტრუქტივიზმი ფილოსოფიური და მხატვრული ტექსტების კრიტიკული ანალიზის მეთოდია, რომელიც 1980-იანი წლებიდან მკვიდრდება პუმანიტარულ მეცნიერებებში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში. მისი შემოტანა ფრანგ ფილოსოფოს ჟაკ დერიდას სახელს უკავშირდება (1930-2004). ტერმინი „დეკონსტრუქცია“ აღნიშნავს, ზოგადად, ნებისმიერი ცნებისათვის, როგორც იდეოლოგიურად ან კულტურულად კონსტრუირებულისათვის, ფარდის ახდას და არა უბრალოდ ბუნებრივი რეალობის ასახვას. დერიდამ დეკონსტრუქციის იდეა პლატონიზმის კრიტიკის კონტექსტში განავითარა. მისი აზრით პლატონიზმისთვის არსებობა იერარქიულად მოწყობილ დაპირისპირებებზე დგას, რომელთაგანაც ერთი ყოველთვის აღმატებულია მეორეზე. დეკონსტრუქციის პირველი ფაზა სწორედ ამ იერარქიების თავდაყირა დაყენებაა, მეორე ფაზა კი იმის ჩვენებაა, რომ იერარქიულად დაბლა მდგომი მაღლა მდგომის „საწყისი“ და ამოსავალი წერტილია (შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი). (Lawlor, 2021)

დეკონსტრუქცია არის ერთგვარი მიდგომა ტექსტისა და მნიშვნელობის ურთიერთმიმართების გასაგებად, რომელიც რაციონალიზმს უპირისპირდება. მისთვის დამახასიათებელია ერთგვარი „მასტიმულირებელი ამოუცნობლობა“ და „კონტროლირებადი ქაოსი“. ეს კონცეფცია გვთავაზობს ისეთ პრინციპებს, რომლებიც ანგრევენ ტრადიციებს, სტერეოტიპებს, იმავდროულად, აშიშვლებენ, აშკარავენ მათ ფუძეს, წინარეტექსტს, რომლის აღდგენა და შეთავაზება ფენოტექსტში ხდება უკვე წარმოსახვის, წინარეტექსტის კომენტირების, შეფასების და ინტერპრეტაციის საფუძველზე, სოციოკულტურული გარემოს გათვალისწინებით.

დეკონსტრუქტივიზმი, როგორც პოსტმოდერნისტული მიმდინარეობა, შთაგონებულია ესთეტიკისა და ფუნდამენტალური პრინციპების მიტოვების იდეით. დეკონსტრუქცია საშუალებას აძლევს ავტორს ხელახლა შექმნას წარსულის, ფესვგადგმული ტრადიციების მქონე მზა „პროდუქტის“ სრულიად განსხვავებული ვერსია და აღდგენილ-განახლებული ტექსტი შესთავაზოს პოტენციურ აუდიტორიას, მკითხველს.

მე-20 საუკუნეში გაჩნდა შეგრძნება, რომ კაცობრიობამ უკვე ყველაფერი შექმნა და დაწერა და ახლა უკვე საჭირო და აუცილებელი იყო „შექმნილთან“ და „დაწერილთან“ დაშორება, ახალი მნიშვნელობის მიცემა ან მისი სრული არარსებობის აღიარება. სამყარო ჩვენს გარშემო არის ტექსტი, რომელიც საჭიროებს არა წესრიგს, არამედ ახალ ინტერპრეტაციას, ხელახლა გადახედვა-გადაწერას - ასეთია დეკონსტრუქტივიზმის ფილოსოფიური იდეოლოგია.

მეთოდები. კვლევის დროს გამოყენებული კომპარატივისტული მეთოდი, ინდუქცია-დედუქციის მეთოდი, ინტერპრეტაცია, ანალიზი.

შედეგები და მსჯელობა. დეკონსტრუქცია თავისუფალი, გაბედული, მეამბოხე ადამიანის პრივილეგიაა, რომელიც მზად არის გადააგდოს, დაამსხვრიოს დამთრგუნველი სტერეოტიპები და ჩარჩოები, დაანაწევროს „დაწერილი ტექსტები“ და თითოეულ დეტალს ახალი მნიშვნელობა, ახალი სიცოცხლე შთაბეროს. სწორედ ასეთ მწერალ-ინტერპრეტატორად გვევლინება გერმანულენოვანი ქართველი მწერალი, ევროპული პოსტმოდერნიზმის ღირსეული წარმომადგენელი, გივი მარგველაშვილი, რომლის ცხოვრება და შემოქმედება მთლიანად აგებულია წინააღმდეგობებსა და კატაკლიზმებზე. „დიქტატურის პირდაპირი თუ არაპირდაპირი პროტესტი, დაპირისპირებათა გაერთიანება ამქვეყნიურის და არამქვეყნიურის, ჩვეულებრივის და არაჩვეულებრივის, რეალობის და არარეალობის, მძიმე, არაორდინალური ბიოგრაფია და ე.წ. 'დეფისი იდენტობა' (ტერმინი გამოიყენა გივი ზედანაიამ), რომელიც ბედისწერის ფატალურობის გამო არც ქართულია და არც გერმანული, გახდა სწორედ პოსტმოდერნისტი გერმანელ-ქართველი მწერლის, გივი მარგველაშვილის შემოქმედების მაგიური რეალიზმის საფუძველი“ (გობიანი, 2022).

მარგველაშვილის მეორეული, ტექსტისმიერი, წიგნისმიერი სამყაროსთვის არაფერია ხელშეუხებელი, მისთვის აღარ არსებობს ტექსტი, როგორც ავტორიტეტი. „მას არ აქვს პრეტენზია ჭეშმარიტების ჩანაცვლების, ან რამე აღიარებული ჭეშმარიტების ეჭვქვეშ დაყენების, ის, უბრალოდ, წაკითხვის ახალ გზას იგონებს ძველი ტექსტების ახალი გაცოცხლებისთვის და მათთან ახალი და ორიგინალური დიალოგის გასამართავად“ (ჯალიაშვილი, 2011). ლიტერატურადმცოდნეობაში, როგორც ირმა რატიანი აღნიშნავს, მკითხველსა და ავტორს შორის გამოიყოფა 3 ძირითადი ფაზა: 1. მოქმედების დინამიკა, 2. დიალოგის პრინციპი, 3. მონოლოგის პრინციპი (რატიანი, 2010: 182). გივი მარგველაშვილთან, ისევე როგორც, ზოგადად, პოსტმოდერნისტულ მიმდინარეობაში, წამყვანი როლი მე-2 ფაზას ეკუთვნის. თხრობის პროცესი, რომელიც მოითხოვს როგორც

ავტორის, ისე მკითხველის თანამონაწილობას - არის სწორედ პოსტმოდერნისტული დისკურსი, სადაც უმთავრესი სწორედ რეციპიენტია. ავტორს მუდმივი, აქტიური დიალოგ აქვს მკითხველთან. მოქმედება ყოველთვის არა დინამიურად, არამედ ქაოტურად, დაუფეგმავად, კადრიების პრინციპით მიმდინარეობს. მარგველაშვილისთვის საერთოდ უცხოა მონოლოგური პრინციპი, მკითხველთან დისტანცირება და იზოლირება. ავტორი არის არა ავტორიტეტი, ბედის განმსაზღვრელი შემოქმედი, აზრთა განმრიგე, არამედ რიგითი პერსონაჟი - „მე წიგნის გმირი ვარ“... (მარგველაშვილი, 2018: 53)

მკითხველთან რიტორიკული შეკითვით იწყებს დიალოგს მწერალი-ინტერპრეტატორი მინიატურაში - „იხსენით არწივი!“ და მიმართვის ადრესატიც, რა თქმა უნდა, სწორედ მკითხველია: „იცი კი, ძვირფასო მკითხველო, რა ტანჯვას განიცდიან სიმბოლოთა ცხოველები? რა აუტანელი ცხოვრებით ცხოვრობენ ისინი სიმბოლოთა და მნიშვნელობათა სამყაროში?“ (მარგველაშვილი, 2018: 94). ამჯერად მის ონტოსამყაროს უბანში შველას სიმბოლოთა ცხოველები ითხოვენ, რომლებიც იმ დანაშაულებათა „წყალობით“ ეწამებინან, რომლებსაც „გასიმბოლოებული“ ადამიანები ჩადიან თავიანთი დაუფიქრებლობით და უპასუხისმგებლობით (იქვე). აქაც ერთი აღმატებულია მეორეზე ანუ სიმბოლო აღმატებულია ცხოველზე, საინტერესო მხოლოდ მისი სიმბოლური დატვირთვაა და არა თავად ცხოველი, საგანს (ამ შემთხვევაში ცხოველს) არ აქვს დამოუკიდებელი, პირველადი მნიშვნელობა, ის თავისთავად არსებული რამ კი არ არის, არამედ რაღაც სხვა მოვლენის ნიშანი, სიმბოლო: „ცხოველი თითქმის არ არსებობს, იგი წასაკითხი ტექსტის გმირიც კი არ არის! წაკითხვას თუ ამოკითხვას იგი მხოლოდ როგორც სიმბოლო იმსახურებს“ (იქვე). იდეალური სამყაროს სურათის შექმნისაკენ სწრაფვას და ესთეტიზაციას, მისტიკასა და ფორმალიზმს, რაც ზოგადად დამახასიათებელია სიმბოლიზმისათვის, ავტორი უპირისპირებს ქაოსს, ღია, შეუფერადებელ სამყაროს, სადაც არ არსებობს ზღვარი მკითხველს, ავტორს და პერსონაჟს შორის. სწორედ ამას გულისხმობს „ღია ტექსტის“ რეცეფციული პრინციპი, რომელიც დაუპირისპირდა სტრუქტურალისტური თეორიის ტექსტს, როგორც თავის თავში ჩაკეტილ, დახშულ მხატვრულ სამყაროს. „შეიძლება ითქვას, რომ გივი მარგველაშვილის ტექსტუალურ თეორიაში „ღია ტექსტის“ ცნება ლამის სიტყვასიტყვით, ლამის სენტიმენტალურადაც კი არის გაგებული, რადგან მკითხველი (გ. მარგველაშვილის „ლირიკული მე“) შედის ღია მხატვრულ სივრცეში მთელი თავისი ემოციური და სულიერი სამყაროთი და ფიზიკურ სხეულთან ერთად მატერიალურ სამყაროში ტოვებს უხემ რაციონალიზმსაც. ამგვარი მკითხველი ყველაზე კეთილგანწყობილი არსებაა ტექსტისათვის; ის მისი თანაზიარია, ის სრულიადაც არ არღვევს მის მთლიანობას, პირიქით – ამთლიანებს ტექსტს საკუთარ თავთან“ (წიფურია, 2016: 224).

მარგველაშვილი თავდაყირა აყენებს სიმბოლოს მნიშვნელობას და ცხოველთა წამების ყველაზე საშინელ ფორმად მიიჩნევს მას. განსაკუთრებით რთულადაა საქმე, თუ „სიმბოლო, ყველა სიკეთესთან ერთად, სახელგატეხილიცაა, რადგან რეალურ ცხოვრებაში რაღაც საშინელება აქვს ჩადენილი!“ (მარგველაშვილი, 2018: 94). ყველაზე დიდ უსამართლობად „წიგნის გმირს“ სწორედ ის მიაჩნია, რომ სიმბოლო-ცხოველები ადამიანების მიერ ამ სიმბოლოთი ჩადენილი დანაშაულების გამო აგებენ პასუხს. კანკალებენ, „იკლაკნებიან“, მთელი ძალით ცდილობენ თავი დააღწიონ სამუდამო განაჩენს, მაგრამ უძლურნი არიან დადგენილი, დაკანონებული, ღრმად ფესვებგადგმული ნორმებისა და ჩარჩოების წინაშე, სამართალსა და შველას ითხოვენ „ჭეშმარიტი“ მკითხველისგან, „სიმბოლო-ცხოველთა დაცვის საზოგადოების წევრებისგან“, რათა „სიმბოლური აღსასრულისგან“ დაიხსნან თავი. (მარგველაშვილი, 2018: 95) რა დააშავეს „გერბის ცხოველებმა“, სამუდამოდ სიმბოლოს მნიშვნელობით დატყვევებულებმა?! მათთვის არავის უკითხავს რა მნიშვნელობისა და დატვირთვის „ტექსტსა“ თუ „ჩარჩოში“

უპირებდნენ გამომწვევდევას, ამიტომაც იტანჯებიან არსდაკარგულები, სიმბოლომისჯილები. ასეთია მათი რეალობა - მოჩვენებითი და ხელოვნული -, რომელსაც ემიჯნება პოსტმოდერნისტი მწერალი, თუმცა ახალი რეალობის ძიებაზეც უარს ამბობს, რადგან თვლის რომ ეს რეალობა უკვე არსებობს ტექსტთა სახით, საჭიროა მხოლოდ მისი აღმოჩენა, სხვათა ავტორთა მიერ წარმოსახული და პროდუცირებული სამყაროს რეპროდუცირება (წიფურია, 2016: 239). ავტორი არაფერს/ვერაფერს ცვლის ცხოველთა კლასიკურ სიმბოლურ სამყაროში/ტექსტში, თუმცა უარყოფს იმ ძირეულ, ფუნდამენტურ პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად უდევს სიმბოლიზმს, როგორც მიმდინარეობას და ცდილობს გაათავისუფლოს, გამოაცალოს ტექსტს/სიმბოლოს ტრადიციული სახე და იხსნას „მიჯაჭვულობისაგან“.

დახმარების სამიზნე „სიმბოლო-ცხოველთა საზოგადოების აქტიური წევრისთვის“, ამჯერად, „სვასტიკის თავზე გამოსახული არწივი“ გახდა. არწივი, ზოგადად, თავისი მრავალსახეობებით (14 სახეობაა ცნობილი), გამორჩეულობითა და განსაკუთრებულობით ყოველთვის იყო და არის ყველა დროისა და ხალხის კულტურასა თუ მითოლოგიაში ბოროტებისა და სიკეთის საწყისის ინსპირაცია. ძველ ხალხთა წარმოდგენაში მზის, შუქისა და ძლიერების სიმბოლო იყო. სამხედრო ძალის სიმბოლოდ პირველად სპარსელებმა აქციეს. ბერძნებმა ძლიერების, გამარჯვების, ნაყოფიერების სიმბოლოდ გამოაცხადეს. მისნობაში არწივი კეთილ მალეყვებად ითვლებოდა, ასევე სიკეთეს განასახიერებდა ქრისტიანულ სიმბოლიკაში. პოეტურ ხელოვნებაშიც ძლიერების, ძლევამოსილების სიმბოლოა. შუა საუკუნეებიდან დღემდე არწივი ასევე გერბთა სამკაულია ჰერალდიკაში, რომელიც გამოიყენება როგორც მუხტი, მხარდამჭერი და კედელი. ჰერალდიკური არწივის ევროპული პოსტ-კლასიკური სიმბოლიზმი დაკავშირებულია ერთი მხრივ რომის იმპერიასთან (განსაკუთრებით ორთავიანი არწივის შემთხვევაში), ხოლო მეორე მხრივ წმინდა იოანე მახარებელთან. შუა საუკუნეებში, გერმანულ ჰერალდიკაში, არწივი იმპერიის სიმბოლოდ იქცა და საუკუნეების ბოლოსთვის მისი გამოყენება იმდენად მჭიდროდ ასოცირდებოდა იმპერიასთან, რომ არწივი იშვიათად გამოიყენებოდა უკვე როგორც დამოუკიდებელი ჰერალდიკური მუხტი (https://hmn.wiki/ka/Imperial_eagle). ჰიტლერმა ჯერ კიდევ 1920 წლის აგვისტოში, ერთ-ერთი დემონსტრაციის დროს გამოიყენა სვასტიკა, როგორც საკუთარი მოძრაობის სიმბოლო. მან სვასტიკა დაუკავშირა „არიული რასის“ სიწმინდეს, მისტერიულ სათავეს და მის გარშემო ააგო ნაცისტური იდეოლოგია. არწივი, რომელსაც კლანჭებით დაფნით გვირგვინში მოთავსებული სვასტიკა უჭირავს, ფაშიზმის სიმბოლოდ იქცა და როგორც მარგველაშვილი აღნიშნავს: „უსამინლეს სიმბოლოთა რიცხვში“ მოექცა.

გივი მარგველაშვილი „ცარიელ ფურცელზე“ წერის პრინციპს უნაცვლებს „პალიმფსესტის პრინციპს“, რაც გულისხმობს ძველ ტექსტზე გადაწერილ ტექსტს, სადაც ძველი ტექსტის მხოლოდ ფრაგმენტებიდაა შემორჩენილი (გაფრინდაშვილი, სიმონიშვილი & აფციაური, 2014). ის, ღია სივრცის პრინციპით, ისევ მოუხმოს მკითხველის წარმოსახვას და კონკრეტული მითითებების საშუალებით შეჰყავს ავანსცენაზე. მკითხველი, იგივე პერსონაჟი, იგივე „წიგნის გმირი“ (ავტორი) ტყავის მძიმე ხელთათმანს წარმოსახვით იცვამს მარჯვენა ხელზე, ხელს მალა სწევს (ნაცისტური მისალმების ჟესტი -, „Heil Hitler!“ „გაუმარჯოს ჰიტლერს“) და თვალს სვასტიკაზე გამოსახულ არწივს მიაპყრობს. აქ უკვე ერთვება მწერალი-ინტერპრეტატორი და აბსოლუტრად შეცვლილ, დეკონსტრუირებულ სურათს გვთავაზობს: არწივი გადმოფრინდება „ბოლოებაღუნული ჯვრიდან“ და მაჯაზე აჯდება მკითხველს/პერსონაჟს. არწივი თავისუფალია, დახსნილია „სიმბოლოთა და მნიშვნელობათა სამყაროში მტანჯველი ცხოვრებისგან“, თითქოსდა მისია შესრულებულია, მაგრამ პრობლემის არსი სულ სხვა რამეში მდგომარეობს: „შევძლებთ თუ არა მის არასიმბოლურად გამოკვებასა და სიცოცხლისა და წიგნის ტექსტში შენახვას?!“

(მარგველაშვილი, 2018: 95). ამოცანა საკმაოდ რთულია, რეალობა მძიმე, სიმბოლო, რომელშიც არწივი იჯდა, ტერორისტული დიქტატურის, უსამართლობის, აგრესიის, რასიზმის, ხალხების გენოციდის, ფაშიზმის იდეოლოგიის გამოხატულებაა...

დასკვნა. „მაგრამ არწივი რა შუაშია?“ - სწორედ ამ რიტორიკული შეკითხვით ასრულებს პოსტმოდერნისტი მწერალი ნოველას და ამით, თითქოს, კომპოზიციურად კრავს და აერთიანებს ტექსტს. ეს არის, სწორედ, ერთგვარი დეკონსტრუქტიული აჯანყება იმ „ტანჯვისა“ და „სასჯელის“ წინააღმდეგ, რომელსაც, როგორც მწერალი აღნიშნავს, განიცდიან „სიმბოლოთა ცხოველები“ მრავალმნიშვნელოვნების, პოლისემანტიზმის „ტყვეობაში“ და რომლის მიზანია, საბოლოო ჯამში, კონფლიქტური წინააღმდეგობის შეგნებული შექმნით, გარემომცველი სივრცის გარღვევა და სოციალური ფონის გარდაქმნა, ერთგვარი პროტესტი ორი დიქტატურის, ნაციზმისა და კომუნიზმის გაბატონებული იდეოლოგიისა და მორალის მარწუხების წინააღმდეგ, რომელიც, ტრაგიკული ბიოგრაფიიდან გამომდინარე, ყოველთვის თან სდევს რეპრესირებული მწერლის ონტოსამყაროს და ნოველის პათოსი - იხსენით არწივი! - ფაქტობრივად, განსაზღვრავს მთელი მისი შემოქმედების ფსიქოლოგიურ ქვეტექსტს.

მარგველაშვილი არასოდეს უშინდება საუკუნოვანი ტრადიციებით გამყარებული ისეთი კლასიკური პრინციპების უარყოფას და გმობას, როგორცაა, თუნდაც, სიმბოლიზმის ფუნდამენტური პრინციპები, დისციპლინების (ჰერალდიკა), წესების, ავტორიტეტების, მთავარი პერსონაჟების, საზოგადოების, კულტურის ცნობიერების მოდელების, გაბატონებული იდეოლოგიების დეკონსტრუქცია. მას თავისი ქაოტური ფიქრები პირდაპირ, ყოველგვარი წესრიგის გარეშე გადმოაქვს სივრცეში და „პალიმფსესტის პრინციპით“, ძველზე ახლის გადაწერით, ცდილობს კომუნიკაციის დამყარებას გარე სამყაროსთან, ნაცნობი კავშირებისა და კანონების გამოყენებით მის გარდაქმნას და ახალი, ინტერპრეტირებული, პარადოქსული სურათების შექმნას, რაც არის სწორედ უკვე არსებულთან, დაწერილ ტექსტებთან ურთიერთობის გამონახვის მარგველაშვილისეული მიგნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ავალიანი, ს. (2007). *თეორიული ფილოსოფია*. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
- ბურდული, ი. (2010). *პოსტმოდერნიზმის ზოგადკულტურული პარადიგმა პატრიკ ზიუსკინდის ნარატივში*. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.
- გაფრინდაშვილი, ნ. (2012). *შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის თეორიული საფუძვლები*. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.
- გაფრინდაშვილი, ნ., სიმონიშვილი, მ., & აფციაური, ნ. (2014). გივი მარგველაშვილის „მუცალი“: პოსტმოდერნიზმის ესთეტიკა და კლასიკური ტექსტების დეკონსტრუქციის პრობლემა. *სპეკალი*.
<http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/10/95> (15.11.2022).
- გობიანი, გ. (2021). ლიტერატურული ონტოტექსტოლოგია - გივი მარგველაშვილის მინიატურები. *აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე*. N2 (18), გვ 93-102.
- გობიანი, გ. (2022). მაგიური რეალიზმი, როგორც ესთეტიკური ფენომენი - გივი მარგველაშვილის მინიატურები. *VII საერთაშორისო სამეცნიერო (დისტანციური) კონფერენციის „ენა და კულტურა“ შრომები*. გვ. 75-80.
- მარგველაშვილი, გ. (2018). *მე წიგნის გმირი ვარ, მინიატურები*. თბილისი: შპს „ალონი“.
- რატანი, ი. (2010). *ტექსტი და ქრონოტიპი*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

- წიფურია, ბ. (2016). *ქართული ტექსტი საბჭოთა /პოსტსაბჭოთა/ პოსტმოდერნულ კონტექსტში*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ცაგარელი, ლ. (2008). ინტერტექსტუალობა, როგორც ფიქციონალობის სიგნალი. *სემიოტიკა*. N3. თბილისი.
- ყარალაშვილი, რ. (1977). *წიგნი და მკითხველი*. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
- Lawlor, L. (2021). Jacques Derrida. In *Stanford Encyclopedia of Philosophy*. Retrieved from <https://plato.stanford.edu/entries/derrida/#Dec>

REFERENCES:

- avaliani, s. (2007). *teoriuli pilosopia [Theoretical philosophy]*. Tbilisi: Publishing House „Universali“.
- burduli, i. (2010). *p'ost'modernizmis zogadk'ult'uruli p'aradigma p'at'rik' ziusk'indis narat'ivshi [The general cultural paradigm of postmodernism in the narrative of Patrick Ziuskind]*. Tbilisi: Publishing House „Meridiani“.
- gaprindashvili, n. (2012). *shedarebiti lit'erat'uratmtsodneobis teoriuli sapudzvlebi [Theoretical foundations of comparative literary studies]*. Tbilisi: Publishing House „Meridiani“.
- gaprindashvili, n., simonishvili, m., & aptsiauri, n. (2014). givi margvelashvilis „mutsali“: p'ost'modernizmis estetika da k'lasik'uri t'ekst'ebis dek'onst'ruktsiis p'roblema [Givi Margvelashvili's "Mutsali": the aesthetics of postmodernism and the problem of deconstruction of classical texts]. *sp'ek'ali [Spekali]*. <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/10/95> (15.11.2022).
- gobiani, g. (2021). lit'erat'uruli ont'ot'ekst'oligia - givi margvelashvilis miniat'urebi [Literary ontotextology - Givi Margvelashvili's miniatures]. *ak'ak'i ts'eretlis sakhelmts'ipo universit'et'is moambe [“Moambe” of Akaki Tsereteli State University]*. N2 (18), pp. 93-102.
- gobiani, g. (2022). magiuri realizmi, rogoris estet'ik'uri penomeni - givi margvelashvilis miniat'urebi [Magical realism as an aesthetic phenomenon - Givi Margvelashvili's miniatures]. *VII saertashoriso sametsniero (dist'antsiuri) k'onperentsiis „ena da k'ult'ura“ shromebi [VII International Scientific (distance) Conference "Language and Culture". Works]*. pp. 75-80.
- margvelashvili, g. (2018). *me ts'ignis gmiri var, miniat'urebi [I am the hero of the book, miniatures]*. Tbilisi: Ltd “Aloni“.
- rat'iani, i. (2010). *t'ekst'i da kronot'ip'i [Text and Chronotype]*. Tbilisi: Tbilisi University Publishing House.
- ts'ipuria, b. (2016). *kartuli t'ekst'i sabch'ota /p'ost'sabch'ota/ p'ost'modernul k'ont'ekst'shi [Georgian text in the Soviet/Post-Soviet/Postmodern context]*. Tbilisi: Ilia State University Publishing House.
- tsagareli, l. (2008). int'ert'ekst'ualoba, rogoris piktsionalobis signali [Intertextuality as a signal of fictionality]. *semiot'ik'a [Semiotics]*. N3. Tbilisi.
- qaralashvili, r. (1977). *ts'igni da mk'itkhveli [The book and the reader]*. Tbilisi: Publishing House „Ganatleba“.
- Lawlor, L. (2021). Jacques Derrida. In *Stanford Encyclopedia of Philosophy*. Retrieved from <https://plato.stanford.edu/entries/derrida/#Dec>